



N 4775/01  
25/05/2020

4775-01-2-202005251359



**შპს „ნახიდური ჰესი“**

მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის  
დასახლება, II მ/რ, კორპ. 8, ბ. 100

2020 წლის 23 აპრილს თქვენ მიერ წარმოდგენილ N6319 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მდინარე ხრამზე 7,5 მგვტ. დადგმული სიმძლავრის „ნახიდური ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ჰესის ჰიდროენერგეტიკული გაანგარიშებები, შესაბამისი ცხრილით;
- დაზუსტებას და დამატებით განმარტებას საჭიროებს წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობის შესახებ მოცემული ინფორმაცია, ვინაიდან **მაქსიმალური** შეტბორვის დროს სარკის ზედაპირის ფართობი მნიშვნელოვნად განსხვავდება გაანგარიშებით დადგენილი წყალსაცავის სარკის ზედაპირისა და დასატბორი ტერიტორიის ფართობისაგან;
- გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო ჰესისთვის დაგეგმილია 18 მ სიმაღლის კაშხლის მოწყობა, ამასთან აღნიშნულია, რომ კაშხლის ზედა ბიეფში დიდი მოცულობის წყალსაცავი არ შეიქმნება (გაანგარიშებით წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი იქნება 76 570 მ<sup>2</sup>, ხოლო დასატბორი ტერიტორიის ფართობი 114 855 მ<sup>2</sup>), დაზუსტებას საჭიროებს რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა აღნიშნული შეფასების გაკეთება გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ხელმოწერილია იმ პირების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ მის მომზადებაში. საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი იყოს ჰიდროლოგიური ნაწილის შედგენაზე პასუხისმგებელი ექსპერტის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში ვხვდებით ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას კერძოდ: ანგარიშის 101 გვერდზე აღნიშნულია, რომ მდინარე ხრამის ჩამონადენის


შესასწავლად პრაქტიკულად შეუძლებელია 90-იან წლებამდე არსებული დაკვირვების მონაცემების გამოყენება, ხოლო 108 გვერდზე (წყლის მაქსიმალური ხარჯები) მოცემულია: ჰიდროლოგიურ საგუშაგოებზე დაკვირვებების წარმოება შეწყდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. დაკვირვების მონაცემების ყველაზე გრძელი რიგი (1937-1990 წწ) გააჩნია ჰ/ს დაგეთხაჩინს, რომლის მონაცემები გამოყენებულია ანალოგად საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობების და სააგრეგატო შენობის კვეთებისთვის. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;

- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი სამშენებლო ბანაკებისა და სანაყაროებისთვის განკუთვნილი ფართობები ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც სანაყაროს მოწყობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შესაბამისად, საჭიროა სანაყაროსთვის შერჩეული ტერიტორიის დაზუსტება;
- სადაწნეო მილსადენით მდინარის გადაკვეთებზე - საჭიროა შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენა, რამდენად უსაფრთხოა მოცემული (GRP) მასალის მილსადენით (აკვედუკის მეშვეობით) მდინარის კალაპოტის გადაკვეთა განსაკუთრებით წყალუხვობის დროს მილსადენის ზედაპირზე მისი ამოგდების რისკის გათვალისწინებით.
- წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში არ იკვეთება შერჩეული (მესამე) ალტერნატივის უპირატესობა გარემოსდაცვითი კუთხით, (მაგალითად ხმელეთის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ნაწილში აღნიშნულია რომ მე-3 და მე-4 ვარიანტები პრაქტიკულად იდენტურია, თუმცა მკაფიოდ არ ჩანს მისაღებია თუ არა). აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს წყალსამეურნეო ანგარიშები, სადაც მოცემული იქნება წყალსაცავის მუშაობის რეჟიმი (შევსება-დაცლა), წყლის ბალანსი და მისი მახასიათებლები: სარკის ზედაპირისა და მოცულობების მრუდები, მოცულობისა და დარეგულირების კოეფიციენტები და წყალსაცავის პარამეტრები;
- სადაწნეო მილსადენის აკვედუკის ჭრილებზე არ არის ნაჩვენები/დაზუსტებას საჭიროებს მდინარის კალაპოტის გარეცხვის სიღრმეები და მაქსიმალური წყლის დონეები. გზმ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს აკვედუკების მშენებლობის ორგანიზაციის საკითხები და მდინარის კალაპოტში ჩასატარებელი სამუშაოების ტექნოლოგიური სქემა;
- გზმ-ის ანგარიშის გვ.26-ზე აღნიშნულია, რომ ირიგაციული მოთხოვნილებები გათვალისწინებულია გაანგარიშებებში, თუმცა გაურკვეველია წყალგამშვებების ოდენობა კაშხლის ქვემო ბიეფში წყალსაცავის შევსების დროს. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და გზმ-ის ანგარიშში ასახვას;
- წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს თევზსავალის ტივტივა აუზის გაბარიტები და სათანადო დასაბუთება;
- დაზუსტებას საჭიროებს კაშხლის ქვემო ბიეფში სანიტარული ხარჯის გამშვები მოწყობილობის (მილის ან ხვრეტის) ადგილმდებარეობა;
- საქართველოში მოქმედი ნორმატივების მიხედვით კაპიტალობის III კლასის ნაგებობები გაანგარიშებული უნდა იყოს მამოწმებელი 0.5% უზრუნველყოფის ხარჯზე შესაბამისად აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში;

- დაზუსტებას/დადგენას საჭიროებს მდინარის აუზში თევზის სახეობრივი რაოდენობრივი მაჩვენებლები (ბიომასა);

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა, რის შემდგომ სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით განახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

